

COVID-19-ის გამომწვევი ვირუსის – ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) - საწინააღმდეგო ანტიხეულების ანალიზები საშუალებას იძლევა შეფასდეს იმუნიტეტი ამ ვირუსის მიმართ და დადგინდეს გადატანილი ინფიცირების შემთხვევები მაშინაც კი, როდესაც ადამიანი უკვე გამოჯანმრთელებულია და მის ორგანიზმში ვირუსი აღარ იმყოფება. მისი დახმარებით ასევე შეიძლება მიმდინარე ინფექციის შემთხვევების გამოვლენა მაშინ, როდესაც ანტიხეულები ვირუსის მიმართ უკვე წარმოქმნილია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის სეროლოგიურ კვლევები მნიშვნელოვანია არამარტო ინდივიდუალური პაციენტისათვის, არამედ მისი გამოყენება შესაძლებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოების მიერ სიტუაციის პოპულაციის დონეზე შესაფასებლად.

11 ოქტომბერს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) გამოაქვეყნა ვიდეო-ინტერვიუ ჯანმოს მთავარ მეცნიერ-მუშაკთან, დოქტორ სომია სვამინატანთან. ინტერვიუში საუბარია სწორედ ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) სეროლოგიურ კვლევებზე.

ქვემოთ გთავაზობთ ამ ინტერვიუს ადაპტირებულ თარგმანს. ორიგინალი ვიდეო-ინტერვიუ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<https://www.youtube.com/watch?v=NCRds2KIwpQ>

სომია, გვითხარით რატომ აკეთებენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოები SARS-CoV-2-ის სეროლოგიურ გამოკვლევებს?

პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ იმით, თუ რა არის ეს სეროლოგიური გამოკვლევები. ეს ის ტესტებია, რომლებიც სისხლში SARS-CoV-2 ვირუსის საწინააღმდეგო ანტიხეულების აღმოსაჩენად გამოიყენება. ჩვეულებრივ, ისინი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოების მიერ კეთდება პოპულაციის გარკვეულ ჯგუფში და მათი დახმარებით რამდენიმე შეკითხვას შეიძლება გაეცეს პასუხი.

პირველი არის ის, რომ ამ გამოკვლევების საშუალებით ვიგებთ საკვლევ პოპულაციაში რამდენი ადამიანი იყო SARS-CoV-2 ვირუსით ინფიცირებული. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ინფექცია სიმპტომების გარეშე შეიძლება მიმდინარეობდეს. გარდა ამისა, ინფიცირებულ ადამიანებს შესაძლოა არ მიემართათ სამედიცინო მომსახურებისთვის ან თავიდანვე არ ჩაეტარებინათ ტესტი ვირუსის აღმოსაჩენად. შესაბამისად, პოპულაციაში SARS-CoV-2-ით ინფიცირებულ ადამიანთა რეალური რაოდენობის დადგენა მხოლოდ ამ ტიპის სეროლოგიური კვლევებით არის შესაძლებელი. ეს გახლავთ პირველი, რასაც ამ გამოკვლევებით ვიგებთ.

მეორე კი ის არის, რომ ამ გამოკვლევების მეშვეობით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ პოპულაციის რომელ ჯგუფშია დაფიქსირებული უფრო მაღალი ინფიცირების მაჩვენებლები. მაგალითად, შეგიძლიათ გამოიკვლიოთ ექიმები, ჯანდაცვის სფეროს მუშაკები, ბავშვები ან ხანშიშესულები და შეამოწმოთ, რომელ ჯგუფში უფრო ხშირი იყო ინფიცირების შემთხვევები.

ასევე შესაძლებელია შემოწმდეს ინფიცირების მაჩვენებელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მაგალითად, შეიძლება ინახოს, როგორია ინფიცირების მაჩვენებელი დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობაში, ან მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში და როგორია იგივე მაჩვენებელი სასოფლო ტიპის დასახლებაში.

გარდა ამისა, თუ ეს ტესტები გარკვეული პერიოდის ინტერვალებით, განმეორებით გაკეთდება, ჯანდაცვის ადგილობრივ ორგანოებს წარმოდგენა შეეძენებათ იმაზე, თუ როგორ იცვლება ინფიცირების მაჩვენებელი კონკრეტულ ტერიტორიაზე – იზრდება, სტაბილურია თუ იკლებს.

და ბოლოს, ასევე შესაძლებელია ადამიანთა იგივე ჯგუფი გარკვეული პერიოდის შემდეგ განმეორებით გამოვიკვლიოთ ამ სეროლოგიური ტესტების საშუალებით და მეტი შევიტყოთ SARS-CoV-2 ვირუსის საწინააღმდეგო იმუნიტეტის შესახებ. იმიტომ რომ ერთ-ერთი საკითხი, რისი გაგებაც ყველას სურს, არის ის, თუ რამდენ ხანს ძლებს ამ ვირუსის საწინააღმდეგო იმუნიტეტი და შესაბამისად, რამდენ ხანს იცავს იგი ადამიანს განმეორებითი ინფიცირებისგან. სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა სეროლოგიური გამოკვლევა.

სომია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე ბევრი კვლევა ჩატარდა სეროლოგიური ტესტების გამოყენებით. რა შევიტყვეთ ახალი COVID-19-ის შესახებ?

დიახ, ვფიქრობ, მსოფლიოს ქვეყნებში სულ მცირე, ასამდე ასეთი კვლევა ჩატარდა და მათგან მიღებული შედეგები ძალიან საინტერესოა. პირველი რაც გავიგეთ, არის ის, რომ სინამდვილეში ადამიანთა გაცილებით მეტ რაოდენობას ჰქონდა ინფექცია, ვიდრე ეს ავადმყოფობის პირველ დღეებში ჩატარებული ტესტების მეშვეობით იყო ცნობილი. სხვადასხვა ქალაქში იმაზე 5-10-ჯერ და ზოგჯერ 40-ჯერ მეტი ადამიანი ყოფილა ვირუსით ინფიცირებული, ვიდრე ეს მანამდე ვიცოდით. ასე რომ, ეს ვირუსი ბევრად უფრო გავრცელებულია.

მეორე, რაც ჩვენ ამ კვლევებიდან გავიგეთ ის არის, რომ იმ ადგილების უმეტესობაშიც კი, სადაც დიდი ეპიდ-აფეთქებები ჰქონდათ – ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში, აზიაში – მიღებული მონაცემების თანახმად, მოსახლეობის მხოლოდ 5-10%-ს გააჩნია SARS-CoV-2-ის საწინააღმდეგო ანტისხეულები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ამ ვირუსის მიმართ იმუნიტეტი არ გააჩნია და კვლავ დაუცველია COVID-19-ის წინააღმდეგ.

ამ კვლევების საშუალებით ასევე გამოჩნდა, თუ რა ხდება დროთა განმავლობაში - ზოგ ქალაქში განმეორებით ჩატარდა სეროლოგიური ტესტირება რამდენიმე კვირის ან თვეების ინტერვალით და ამ გზით მათ მოახერხეს ეპიდემიის განვითარებისთვის თვალყურის დევნება.

სომია, სეროლოგიური კვლევების საშუალებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტები სამეცნიერო კვლევებს ატარებენ და შესაბამისად, ვითარებას სწავლობენ. მაგრამ კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია ხშირად საზოგადოებისთვის დამაბნეველია. რა არის ის მთავარი კითხვები, რომლებიც საზოგადოებამ უნდა დასვას? რა ტიპის მონაცემებს უნდა მივაქციოთ ყურადღება, როდესაც ახალი ასეთი კვლევის შედეგები ქვეყნდება?

დიახ, ვფიქრობ, ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხია. რადგან საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რას ნიშნავს ეს ყველაფერი მათთვის. ჩემი აზრით, პირველ რიგში, ეს ინფორმაციას გამლევთ თუ რამდენად დიდი იყო თქვენს ქალაქში ეპიდ-აფეთქება ან რამდენად ეფექტურად იყო გატარებული კონტროლის ზომები. ვფიქრობ, როდესაც ხალხს ეცოდინება, რომ მათ ქალაქში მხოლოდ 5% ან 10%-ს აქვს ვირუსის

საწინააღმდეგო ანტისხეულები, უკეთ გააცნობიერებენ სახლში დარჩენის და დისტანცირების საჭიროებას.

და შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რა თქმა უნდა, ისინი ასევე შეძლებენ ნახონ, რეალურად როგორი შედეგი აქვს დაავადების გავრცელების საწინააღმდეგო ზომებს – იმას, რასაც ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობა აკეთებს, ან როგორც რეაგირებს საზოგადოება და რამდენად პასუხისმგებლობით იქცევა. ჩვენ შევძლებთ ნათლად დავინახოთ, არსებული რეგულაციები და რეკომენდაციები რეალურად როგორ მოქმედებენ ინფიცირების მაჩვენებელზე და როგორ გვეხმარებიან მის გაკონტროლებაში.